პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 დეკემბერი, შაბათი, 1988 წ.
№ 235 (9902) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მოძმეთა დასახმარებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღეებში მოძმე სომხეთის მიწაზე დატრიალებულმა ტრაგედიამ შეაძრწუნა და დაამწუხრა ქართველი ხალხი. მრავალსაუკუნოვანმა ძმობამ და მეზობლობამ კანონად გვიქცია — თანადგომისთვის ყოველთვის და ყველანი მზად ვართ, ერთმანეთის მხარში ამოდგომა ჩვენი უპირველესი ვალია.

მოძმეთა დასახმარებლად დაირაზმა საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობაც. დახმარების ხელის გასაწვდენად მზად არიან სპორტსმენები და სპორტული ორგანიზაციები.



**მიწისძვრისაგან** დაზარალებულ სომხეთის ქალაქ სპიტაკისაკენ გუშინ გეზი აიღო ქართველ მთამსვლელთა 15 კაციანმა ჯგუფმა, რომელიც საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის დირექტორის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნ. კანკავას საერთო ხელმძღვანელობით სამაშველო სამუშაოებს ჩაატარებს. ჯგუფს ამისათვის სათანადო აღჭურვილობა აქვს და, ამასთან, არც „ზედმეტ ტვირთად“ დააწვება სტიქიაგადატანილთ — აქვთ საძილე ტომრები, კარვები, საკვები.

მაშველ ჯგუფში, რომელიც სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსან ალპინისტებისაგან შედგება, არიან: ზაალ ქიქოძე (ხელმძღვანელი), გიორგი მინდიაშვილი, ვანო ვაშაყმაძე, თორნიკე ბერიშვილი, თემურ ახალკაცი, საბა კიკნაძე, გია თორთლაძე, გურამ ქუთელია, მიხეილ ჩიჩხუნაშვილი, ავთანდილ გავაშელი, სოსო ირემაძე, ლევან კალანდარიშვილი, ზაზა სვანიძე, ბიძინა გუჯაბიძე, გიორგი საჯაია.

**ს უ რ ა თ ზ ე:** მაშველი ჯგუფი მზადაა გასამგზავრებლად.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

იხ. მე-2 გვ.

ძიუდოში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ

## საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

**როგორც** ცნობილია, სტუდენტთა შორის ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატის თბილისში ჩატარებასთან დაკავშირებით, შექმნილია ამ მაღალი რანგის ასპარეზობისათვის მზადებისა და მისი ჩატარების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

გაიმართა ჩემპიონატისათვის მზადების საკითხებზე საორგანიზაციო კომიტეტის ბოლო სხდომა. აღინიშნა, რომ გაწეულია დიდი მუშაობა დავალებების შესასრულებლად. დამთავრდა სპორტის სასახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, პირნათლად გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანებს აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ცალკეულმა ორგანიზაციებმა. საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს გააცნეს პრიზები, რომლითაც დაჯილდოვდებიან გამარჯვებული გუნდი და ჩემპიონი სპორტსმენები, პრიზიორები... წარმოდგენილი იყო აგრეთვე ცალკეული სუვენირები და სპორტული პროდუქცია, რომელიც საგანგებოდ გამოუშვეს ჩემპიონატთან დაკავშირებით.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ჩხეიძემ.





**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი რამდენიმე დღეა თბილისში ემზადება.

## პირველად — „სწრაფ ჭადრაკში“

**ხვალ,** 11 დეკემბერს მექსიკის საკურორტო ქალაქ მატაცლანში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, დაიწყება პირველი მსოფლიო პირველობის ფინალური ტურნირი „სწრაფ ჭადრაკში“ (30-30 წუთიანი პარტიები). ჯერ გაიმართება შესარჩევი შეჯიბრებები, შემდეგ მეოთხედფინალები, ნახევარფინალები და ფინალი.

მექსიკას გაემგზავრნენ მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და მისი ამასწინანდელი მეტოქე დედოფლის გვირგვინისათვის ბრძოლაში ნანა იოსელიანი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი, დიდოსტატები რაფაელ ვაგანიანი, ვიქტორ გავრიკოვი, გენადი კუზმინი, ვლადიმერ ტუკმაკოვი, იან ელვესტი, საერთაშორისო ოსტატები იგორ ნოვიკოვი, მიხეილ კრასენკოვი და ლევ იუდასინი.

## პრიზი — ქეთევან მელაშვილს

**ტაშკენტში** გაიმართა მოჭადრაკე ქალთა V ტრადიციული ტურნირი უზბეკეთის სპორტსახკომის პრიზზე. მონაწილეთა შორის 2 საერთაშორისო ოსტატი და 7 სპორტის ოსტატი იყო. კარგად ითამაშა თბილისელმა ოსტატმა ქეთევან მელაშვილმა, რომელმაც 8,5 ქულით I ადგილი მოიპოვა.

## „დიდი ძიუდო“ — თბილისში

**17-21 დეკემბერს** თბილისის სპორტის სასახლის ასპარეზი დაეთმობა ძიუდოისტებს, მაგრამ ამჯერად არა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის მონაწილეებს. აქ ორ ტატამზე გაიმართება სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი.

— ასეთი რანგის ასპარეზობა ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ არ გამართულა, — თქვა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თავმჯდომარემ ვაჟა შუბლაძემ. — საერთაშორისო სპორტულმა ორგანიზაციებმა თბილისი შემთხვევით როდი აირჩიეს, მათ გაითვალისწინეს საქართველოს სახელოვანი სპორტული ტრადიციები, ქართული საჭიდაო, კერძოდ ძიუდოს სკოლის დიდი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში, ჩვენი გულშემატკივრების კომპეტენტურობა და კეთილმოსურნეობა. და, რა თქმა უნდა, ის დიდი გამოცდილება, რომელიც შევიძინეთ დიდი ოფიციალური საერთაშორისო ტურნირების გამართვის დროს, რომელთა ორგანიზაცია ყოველთვის იმსახურებდა მონაწილეებისა და სპეციალისტების კარგ შეფასებას.

**⊙ ჩემპიონატის მთავარი ორგანიზატორის როლი წილად ხვდა ახლახან შექმნილ პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებას. მოახერხეთ თუ არა შეგესრულებინათ ყველაფერი, რაც ჩაფიქრებული იყო?**

— საბოლოო პასუხის გაცემა მხოლოდ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ შეიძლება, მაგრამ ჩვენ ძალ-ღონე არ დავიშურეთ, რათა კარგად მომზადებული შევხვედროდით ჩემპიონატს. სტუდენტური სპორტი ჩვენი საზოგადოების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და სწორედ ამიტომაც დაგვეკისრა პასუხსაგები მისია. ასპარეზობისათვის მზადების პროცესში ჩაება ჩვენი ყველა სამსახური, ყველა დიდი ენთუზიაზმით შრომობდა. ერთი წლის წინათ შექმნილმა საორგანიზაციო კომიტეტმა კი, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზურაბ ჩხეიძე ხელმძღვანელობს, დიდი მოსამზად-

იხ. მე-3 გვ.

## ვაჟთა მოსწავლის გამარჯვება

**სოსნოვი ბორში** (ლენინგრადის ოლქი) გამართულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ტურნირზე 68 კგ წონაში შესანიშნავად გამოვიდა ვანის გ. ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლე პაატა შალამბერიძე (მწვრთნელი ნუგზარ მანაგაძე). მან ჩატარებული ექვსი შეხვედრიდან ყველა წმინდად მოიგო და რასაკვირველია, ტურნირის ჩემპიონიც გახდა.

### ინფორმაცია

**მოცურავეთა** შორის ევროპის თასის გათამაშებაზე ჰაიდე გრაინმა (გდრ) 800 მეტრი 8.26,59 გაცურა და გაიმარჯვა ამ დისტანციაზე. ედინბურგის 25-მეტრიან აუზში გამართული ტურნირი მოცურავეთა პირველი ოფიციალური შეჯიბრება გახლდათ სეულის ოლიმპიადის შემდეგ.

## „მსოფლიო თასის“ შესარჩევი

**ბელგრადში** მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი — „მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშების შესარჩევი შეჯიბრება. ტურნირი შვეიცარიული სისტემით ტარდება და I-VIII ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ „მსოფლიო თასის“ გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას. საბჭოთა კავშირის საჭადრაკო დელეგაცია ასპარეზობაზე შემდეგი მოჭადრაკეებითაა წარმოდგენილი — დიდოსტატები ელიზბარ უბილავა, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ევგენი ვასიუკოვი, ეფიმ გელერი, მიხეილ გურევიჩი, ალექსანდრე მიხალჩიშინი, ლევ პოლუგაევსკი, სერგეი სმაგინი, მარკ ტაიმანოვი, ალექსანდრე ჩერნინი, ნაუმ რაშკოვსკი, ლევ ფსახისი, გრიგორი კაიდანოვი და საერთაშორისო ოსტატი ევგენი ბარეევი. 3 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით შეჯიბრებას 6 მოჭადრაკე ლიდერობს.



გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## მორიგი ტურის შედეგები

**მინსკი.** ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტის და დონეცკის „შახტიორის“ კალათბურთელებმა ქულები თანაბრად გაიყვეს. პირველი შეხვედრა სტუმრებმა ერთი ქულით მოიგეს 73:72 (40:45), მეორეში კი მასპინძლებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს 65:58 (34:29).

**მოსკოვი.** „დინამომ“ ორი მატჩი მოუგო ზედიზედ ლენინგრადის „სპარტაკს“ და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მეორე შეხვედრაში მას დიდი ჯაფა დაადგა. პირველ მატჩში გამარჯვების შემდეგ — 119:89 (51:45) საფიქრებელი იყო, რომ მასპინძლები განმეორებით შეხვედრასაც იოლად მოიგებდნენ, მაგრამ „სპარტაკმა“ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს და ბრძოლა მხოლოდ ერთი ქულით დათმო — 79:80 (37:44).

**ვილნიუსი.** გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა, ალმა-ათის ასკ-მ პირველ მატჩში დაამარცხა ადგილობრივი „სტატიბა“ 99:89 (48:43). განმეორებით შეხვედრაში კი უფრო ძლიერი მასპინძლები იყვნენ 81:62 (40:43).

**რიგა.** ადგილობრივი ვეფ-სა და კაუნასის „ჟალგირისის“ პირველ ორთაბრძოლაში უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო — 103:79 (50:51).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 დეკემბრისთვის

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (მ.) | 12 | 7 | 5 | 1187-1139 | 19 |
| ასკ (ა-ა) | 12 | 7 | 5 | 1160-1137 | 19 |
| „სტ.“ (ვილ.) | 12 | 5 | 7 | 1083-1027 | 17 |
| „სპ.“ (ლდ.) | 12 | 5 | 7 | 967-1044 | 17 |
| ცსკა | 8 | 8 | 0 | 854-663 | 16 |
| „სტრ.“ (კ.) | 8 | 7 | 1 | 754-687 | 15 |
| რტი (მინ.) | 10 | 5 | 5 | 848-848 | 15 |
| „კალ.“ (ტალ.) | 10 | 4 | 6 | 824-888 | 14 |
| „ჟალ.“ (კაუნ.) | 7 | 6 | 1 | 711-646 | 13 |
| „შახ.“ (დონ.) | 10 | 3 | 7 | 788-849 | 13 |
| ვეფ (რიგა) | 11 | 2 | 9 | 951-1127 | 13 |
| „დინ.“ (თბ.) | 10 | 2 | 8 | 856-925 | 12 |

# დღევანდელი ამოცანები და მცდარი დირექტივა?!

თუ რამდენად აისახება დღევანდელი მოთხოვნები ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურულ სპორტულ ცხოვრებაში, ამის შესახებ „ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი ამ დღეებში ესაუბრა ინსტიტუტის რექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს დურსუნ ბალაძეს.

**⊙ ბატონო დურსუნ, რამდენადაც ვიცით, წლეულს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზაღზრდის ფაკულტეტზე მიღება არ გქონიათ. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ზემდგომი ორგანოების ეს გადაწყვეტილება და ხომ არ იმოქმედებს იგი სასწავლებლის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაზე?**

— გულისტკივილით ვიტყვი, რომ ეს გადაწყვეტილება სწორად არ მიმაჩნია და აი, რატომ: ამ სპეციალობისადმი განსაკუთრებულ ინტერესს სპორტსმენები იჩენენ, აქედან ზოგი მაღალი კლასისაა, ზოგიც პერსპექტიული. სწორედ ისინი წარმოადგენენ იმ ძირითად ბირთვს, ვინც სასწავლებლის სპორტულ ღირსებას უნივერსიადებში და სხვა ადგილობრივ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში იცავს და სადაც, როგორც წესი, კარგად მომზადებული სპორტსმენები გამოდიან. ასეთი კონტიგენტის მომზადება კი არასპორტსმენი სტუდენტებისაგან ინსტიტუტში სწავლის პერიოდში შეუძლებელი თუ არა, საკმაოდ რთული საქმეა. ეს სტუდენტები საბოლოო ჯამში მარტო ინსტიტუტის კი არა, ბათუმის და, საერთოდ, ავტონომიური რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავენ.

და, რაც მთავარია, აჭარის მაღალმთიანი რაიონების უმეტეს სოფლის სკოლებს კვალიფიციური ფიზაღზრდის მასწავლებლები არ ჰყოფნის, ბევრია საპენსიო ასაკის ფიზკულტურის მასწავლებელიც, არადა ხშირ შემთხვევაში სოფელში სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი მთელი სოფლის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ხელმძღვანელიცაა. ამდენად გვესაჭიროება ახალგაზრდა, ენერგიით სავსე კვალიფიციური სპეციალისტები, სწორედ ასეთი კადრებით ამარაგებდა ჩვენი ინსტიტუტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და დასავლეთ საქართველოს ბევრ რეგიონს. ერთიც უნდა აღვნიშნო: მართალია არსებობს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი, მაგრამ, იმის გამო, რომ ეს სასწავლებელი ყველა მსურველს ვერ აუდის, იქ ჩვენი რეგიონისათვის საჭირო რაოდენობის აბიტურიენტთა ჩარიცხვა არ ხერხდება.

ვფიქრობთ, აღნიშნული არგუმენტები სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ არ დაეთანხმოთ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებას ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზაღზრდის ფაკულტეტზე მიღების გაუქმების შესახებ.

**⊙ ამაზე, ალბათ, ერთხელ კიდევ იმსჯელებენ კომპეტენტური ორგანოები. მე კი მაინტერესებს, როგორია პირადად თქვენი, როგორც რექტორის შეხედულება სტუდენტურ ფიზკულტურასა და სპორტზე. რა არის თქვენზე, როგორც რექტორზე დამოკიდებული, რომ ინსტიტუტში ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრება მაღალ დონეზე იდგეს?**

— უპირველესად, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ინსტიტუტის ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მხარეს წარმართავენ კვალიფიციური, საქმის მოყვარული, თანამედროვე აზროვნების მქონე კომპეტენტური კადრები და მხოლოდ ამის შემდეგ მექნება მორალური უფლება, მხარი დავუჭირო მათ საინტერესო, საყოველთაო საქმისათვის სასარგებლო ყველა წამოწყებასა და წამოყენებულ თხოვნას. ისე არ გამიგოთ თითქოს კადრების უკმაყოფილო ვიყო, მე მხოლოდ რექტორის პოზიცია განვსაზღვრე.

**⊙ დღეს, ერთობ პოპულარულია სიტყვა „გარდაქმნა". თუ იგრძნობა იგი საქმით სასწავლებლის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში?**

— ჩვენ შეძლებისდაგვარად ყოველთვის ვაქცევდით ჯეროვან ყურადღებას სტუდენტურ ფიზკულტურასა და სპორტს, მაგრამ ახლა გარდაქმნის პროცესი, ცხადია, უფრო მეტს გვავალებს. დღის წესრიგში დავაყენეთ საკითხი „არც ერთი სტუდენტი ფიზიკური კულტურისა და სპორტის გარეშე"! გავაძლიერეთ კონტროლი ჯგუფებისა და სექციების მუშაობაზე, მოვაწყვეთ სასროლი ტირი, რომლის მსგავსი არ მოიპოვება აჭარაში, გამოვძებნეთ საშტატო ერთეულიც (სწორედ აქ იყო საჭირო მხარდაჭერა) ტირის ხელმძღვანელისათვის. ასე რომ, ბევრი ადრე გადაუწყვეტი პრობლემა ან უკვე განხორციელდა, ან განხორციელების პროცესშია.

**⊙ ინსტიტუტის ბაზებზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა, რადგან მათ გარეშე წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.**

— უკვე მოგახსენეთ, რომ კარგი ტირი გვაქვს, ისეთი, საერთაშორისო დონის შეჯიბრებასაც რომ უმასპინძლებს. კაპიტალურად გავარემონტეთ ტანვარჯიშის დარბაზი. ვზრუნავთ მისი სათანადო ინვენტარით უზრუნველყოფისათვის. სამი წელიც ვერ გაძლო სპორტთამაშების დიდი დარბაზის იატაკმა. დალპა და ჩაიქცა. იგი უკვე შევცვალეთ პარკეტის საფარით. გვაქვს კიდევ მცირე დარბაზი კალათბურთისა და ჭიდაობისათვის. ტანვარჯიშის დარბაზში ვაპირებთ ტრენაჟორების დადგმას, რითაც სტუდენტებთან ერთად, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებიც ისარგებლებენ. ცხადია. გამონაკლისი არც მე ვიქნები. დაგეგმილი გვაქვს ღია სპორტული მოედნის მოწყობა ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორიაზე. ჯერჯერობით სამუშაოები ფერხდება, რადგან ორი ბარაკული ტიპის ნაგებობა უნდა გამოვათავისუფლოთ.

**⊙ ისღა დამრჩენია, ბატონო დურსუნ, წარმატებები გისურვოთ თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში.**

# მოქმედება დასახმარებლად

**გუშინ** პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოში (თავმჯდომარე ვ. შუბლაძე) გაიმართა აპარატის მუშაკთა საერთო კრება. თანამშრომლებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება დაეხმარონ მიწისძვრისაგან დაზარალებულ მოძმე სომხეთის მოსახლეობას.

გუშინვე, კრების დამთავრების შემდეგ სპორტსაზოგადოების აპარატის მუშაკებმა პირადი თანხა — 1800 მანეთი შეიტანეს ფულადი დახმარების ფონდში. ამავე მიზნით, როგორც რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელებმა გვითხრეს, კრებები ჩატარდება საზოგადოების ყველა რაიონულ და საქალაქო საბჭოში, სპორტულ სკოლაში, სპორტულ ბაზებზე...

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ საქართველოდან სომხეთში აღდგენით სამუშაოებზე გამგზავრებულ რაზმებს 200 კარავი და 100 საძილე ტომარა გამოუყო.

* * *

**სპორტსაზოგადოება** „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიმართა თავის შრომით კოლექტივებს და საზოგადოების ყველა წევრს დახმარება აღმოუჩინონ მიწისძვრისგან დაზარალებული სომხეთის რაიონების მშრომელებს.

განზრახულია თავისუფალი დროის ხარჯზე შესრულდეს ერთი დღის სამუშაოები და მიღებული თანხა გადაერიცხოს რესპუბლიკის დახმარების ფონდს. გარდა ამისა, „დინამომ" გადაწყვიტა სომხეთში გაგზავნოს 50 ათასი მანეთის სპორტული ფორმა და ინვენტარი. შემდგომშიც ყოველგვარი შესაძლებლობა გამოყენებული იქნება მოძმე სომხეთის ხალხის დასახმარებლად.

• • •

**გუშინ** გვაცნობეს, რომ ტანმოვარჯიშეთა უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის (დირექტორი მზია ჯუღელი) კოლექტივმა ერთი დღის ხელფასი გადარიცხა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

**გაზეთ „ლელოს" დღევანდელი ნომრის ჰონორარი მთლიანად გადაირიცხება მიწისძვრისაგან დაზარალებული მოძმე სომხეთის მოსახლეობის დახმარების ფონდში.**

გასაწვევთა სპარტაკიადა

# სამშობლოს ღირსეული დამცველი სჭირდება

გასაწვევთა წლევანდელი რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებას მშდ-ს მრავალჭიდში ხობმა უმასპინძლა. აქ ზონებში გამარჯვებული 14 რაიონის 140 გასაწვევი ჩამოვიდა. მრავალჭიდის პროგრამაში იყო რბენა 100 მეტრზე, მცირე კალიბრიანი შაშხანის სროლა (50 მეტრზე), თავისუფალი სტილით ცურვა (100 მეტრზე), 700-გრამიანი ხელყუმბარის ტყორცნა, ძელზე მიზიდვა და კროსი (3000 მეტრზე).

გუნდური პირველი ადგილი 697 ქულით თბილისის კიროვის რაიონმა მოიპოვა, ქუთაისისა და აფხაზეთის გუნდებმა 674-674 ქულა დააგროვეს, მაგრამ მეორე ადგილი, როგორც დებულებით იყო გათვალისწინებული, ქუთაისელებს მიაკუთვნეს — ცურვაში მათ უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ.

პირადი პირველობის მრავალჭიდში საუკეთესო იყო ხობელი ზვიად კორტავა (106 ქულა). თბილისის გლდანის რაიონის წარმომადგენელმა ივანე თაბუაშვილმა 101 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მესამე იყო თბილისის კიროვის რაიონის წვევამდელი ალექსანდრე ბარამი — 100 ქულა.

სპარტაკიადა ორგანიზებულად ჩატარდა, მაგრამ იყო ხარვეზებიც. თბილისის საბურთალოს რაიონის გუნდის გარდა არავის ჰქონდა ერთიანი სპორტული ფორმა. ზოგიერთები წელზევით შიშვლები დარბოდნენ. ბევრი გუნდი სათანადოდ არ იყო მომზადებული. მაგალითად, გლდანის რაიონის გუნდმა 241 ქულით ბოლო ადგილი დაიკავა (ქულათა თითქმის ნახევარი ივანე თაბუაშვილმა მოაგროვა). მონაწილენი განსაკუთრებით სუსტად იყვნენ მომზადებულნი ცურვასა და 3000 მეტრიან კროსში. კროსის მონაწილენი ძალას ვერ ანაწილებდნენ მთელ დისტანციაზე. ასე იყო ცურვაშიც, რამაც ბევრი გუნდი დააზარალა. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ სკოლებში დაბალ დონეზეა მშდ-ს ნიშნოსანთა მომზადების საქმე, სათანადოდ არ ტარდება ფიზკულტურის გაკვეთილები. იგივე მდგომარეობაა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში.

რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მეორე განყოფილების უფროსის თანაშემწე, პოდპოლკოვნიკი მიხეილ კიწურაშვილი:

— ჩვენს ახალგაზრდებს უჭირთ სამხედრო სამსახური, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, სანამ მიეჩვევიან. ამიტომაცაა, რომ ყველაზე მეტი წესრიგის დარღვევა მათზე მოდის. წვევამდელთა სპარტაკიადა მათ ფიზიკურ მომზადებას ისახავს მიზნად, მაგრამ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებელია, რადგან პირველი და მეორე ეტაპის შეჯიბრებებს ადგილებზე ძალიან ცუდად, შეიძლება ითქვას, უპასუხისმგებლოდ ატარებენ. ამ მხრივ მკაცრად უნდა მოვთხოვოთ დოსააფის რაიონულ კომიტეტს და რაიონულ კომისარიატს.

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს" საკ. კორ.**

ხობი.

# გაწუხებთ, რადგან სხვა გზა არა გვაქვს

**პატივცემულო რედაქცია! მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისის ახალგაზრდები მოგმართავთ. ახლა, როცა ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა ფიზკულტურისა და სპორტის გამაჯანსაღებელ მნიშვნელობას, ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა ამ სიკეთეს მოკლებულია.**

**მოგახსენებთ, რომ სოფელში, მდინარე ქსნის პირას გვქონდა ფეხბურთის მოედანი, რომელიც მეურნეობის საჭიროებისათვის გადახნეს. შემდეგ მოვაწყვეთ მეორე მინდორიც, რომელიც მდინარე ქსანმა წალეკა. საშუალო სკოლის ტერიტორიაზე მდებარე მესამე მოედანი კი სხვა ობიექტის მშენებლობას შეეწირა.**

**ახალგაზრდობის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, როგორც იქნა, სოფლის ცენტრში გამოგვიყვეს ტერიტორია, სადაც ჩვენი ინიციატივითა და ჩვენივე სახსრებით გავაშენეთ ახალი მოედანი და ღია საჭიდაო არენა, ვაპირებდით ფრენბურთის, კალათბურთის მარტივი ტიპის მოედნების მოწყობას, მაგრამ ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებას კვლავ ცივი წყალი გადაასხა მოედნის ტერიტორიაზე წამოწყებულმა მშენებლობამ. აქ ამჯერად ბაგა-ბაღის აგება დაიწყეს, თითქოს ადგილს სხვაგან ვერ გამონახავდნენ. სანამ სტადიონის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოებს დაიწყებდნენ, რაიონიდან პარტიის რაიკომის და კომკავშირის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. ისინი შეხვდნენ სოფლის ახალგაზრდობას და უფროს თაობას. აქ ყველამ ერთხმად განვაცხადეთ, რომ მოედანი უნდა დარჩენილიყო. თითქოს დაგვეთანხმნენ კიდეც და გადაწყდა, რომ სტადიონის ტერიტორია შემოილობებოდა. მეორე დღესვე დავიწყეთ ღობისთვის ორმოების ამოთხრა, მაგრამ სოფლის ადმინისტრაციამ აგვიკრძალა.**





**ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ დაგვინგრიეს სამი ფეხბურთის მოედანი და თქვენთვის აქამდის არ მოგვიმართავს, მაგრამ ახლა იმიტომ გაწუხებთ, რომ სოფელში სხვა შესაფერისი ადგილი აღარ გვაქვს სპორტული სარბიელის მოსაწყობად. არადა, ამ მოედანზე სოფლის ახალგაზრდობა სამუშაო საათების შემდეგ, ყოველდღე ფეხბურთს ვთამაშობდით, რამაც შედეგიც გამოიღო — შარშან გავხდით რაიონის ჩემპიონები როგორც ფეხბურთში, ისე კალათბურთში.**

**ახლა თქვენი იმედი დაგვრჩა, დაგვეხმარეთ!**

**ე. მორბედაძე, გ. ოდიშვილი, მ. მახარაშვილი, ვ. ლაბაუ-რი... წერილს ხელს აწერს 41 ახალგაზრდა.**

**რედაქციისაგან:** სოფლის ახალგაზრდობისთვის ზრუნვა, მათი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება ჩვენი დროის ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხია. ამ თემას არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია და სატელევიზიო გადაცემა ეძღვნება. დღეს აღარავინ მალავს იმას, რომ სოფლის კულტურული დონე შეუდარებლად ჩამორჩება ქალაქისას. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი სოფლის ახალგაზრდობის ქალაქისაკენ ლტოლვისა. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მიგრაცია ნაწილობრივ მაინც შეჩერდეს? საჭიროა გამრავლდეს კულტურული დაწესებულებები, მათ შორის ცხადია, სპორტული მოედნები. მისი მოწყობა უპირველეს ყოვლისა სოფლის ხელმძღვანელობას ევალება, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა მათგანს ერთნაირად როდი აქვს შეგნებული ეს საკითხი. ამის დასტურია ქსოვრისიდან გამოგზავნილი ეს წერილიც.

იმედი გვაქვს ჩვენს პუბლიკაციას უყურადღებოდ არ დატოვებენ რაიონის ხელმძღვანელები, ყველა, ვისაც პასუხის გაცემა ევალება და დროულად გამოგვიგზავნიან შეტყობინებას მოედნის მომავალი ბედის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კომსომოლსკაია პრავდას“ ინიციატივით

**გაზეთ** „კომსომოლსკაია პრავდის“ თაოსნობით მოსკოვის ლუჟნიკის სპორტკომპლექსში ეწყობა გულშემატკივართა გუნდების საკავშირო ტურნირი ფეხბურთში. ტურნირის გახსნისადმი მიძღვნილი სანახაობა გაიმართება 13 დეკემბერს, მინიფეხბურთის ფინალურ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ბავშვთა და ჭაბუკთა გუნდები, აგრეთვე, საბჭოთა ფეხბურთის გამოჩენილი ოსტატები ი. ნეტო, გ. ჰუსაინოვი, ვ. შუსტიკოვი, ა. შესტერნიოვი, ა. პარამონოვი, ვ. პილგუი, ა. ტარხანოვი, ნ. ოსიანინი და სხვანი.

ზეიმზე გამოვლენ, აგრეთვე, ცნობილი მსახიობები, საესტრადო ანსამბლები.

დასასრულს მოეწყობა უჩვეულო აუქციონი: საჯარო წესით გაიყიდება განთქმულ მეკარე რინატ დასაევის საფეხბურთო ხელთათმანები, ევროპის 1960 წლის ჩემპიონის ვალენტინ ბუბუკინის გეტრები, სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, დნეპროპეტროვსკელი ევგენი შახოვის ბუცები.

აუქციონის მთელი შემოსავალი გადაეცემა ფეხბურთის ვეტერანთა ფონდს.



### ისევ „ხიხანი“

დამთავრდა აჭარის პირველობა მინიფეხბურთში. მასში მონაწილეობდნენ ქობულეთის, ქედის, შუახევის, ხელვაჩაურის, ხულოს და ბათუმის გუნდები.

ფინალში ერთმანეთს „ხიხანი“ და ბათუმი-2 შეხვდნენ, ანგარიშით 10:6 გაიმარჯვა „ხიხანმა“. ფინალისტები გაისად საქართველოს ჩემპიონატში გამოვლენ.

**ლევან ლევანიძე.**
(„ლელოს“ საკ. კორ.).

# ჭაბუკთა გუნდი — მალაიზიაში

**სსრ კავშირის** ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები (ასაკი 20 წლამდე) 1989 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამით მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირში, რომელიც მალაიზიაში მიმდინარეობს.

ჩვენმა გუნდმა პირველი თამაში კუალა ლუმპურში გამართა ტაილანდის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 4:1.

### ზიკოს ფინტები — ეკრანზე

ესპანეთში გადაიღეს საინტერესო ფილმი, სადაც მთავარ როლში გამოდის ცნობილი ფეხბურთელი ზიკო. ფილმი ერთ ტაიმს გრძელდება (45 წუთი), იგი განკუთვნილია ბავშვთათვის, რომლებსაც ფეხბურთის შესწავლა სურთ. ზიკო ამ ფილმში აჩვენებს თავის ცნობილ ფინტებს, დრიბლინგს, დარტყმებს და ბავშვებს რჩევა-დარიგებას აძლევს იმის თაობაზე, თუ როგორ მოიქცნენ მინდორზეც და ტრიბუნაზეც.

### ფეხბურთელთა გაფიცვა

ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი და მეორე ლიგების ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს 14 დეკემბერს 24-საათიანი გაფიცვა გამოაცხადონ.

ეს გადაწყვეტილება ესპანეთის პროფკავშირების გაერთიანებამ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მიიღო.

ევროპის საკლუბო ტურნირები

# გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები

**6 და 7 დეკემბერს** გაიმართა უეფა-ს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩები, ევროპის ამ საფეხბურთო ტურნირში გამოვლინდნენ მეოთხედფინალის მონაწილენი, რომლებიც დასკვნით მატჩებს (მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი) ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის ტურნირებთან ერთად გაისად გაზაფხულზე გამართავენ.

უეფა-ს თასის მერვედფინალის საბოლოო შედეგები:

„ველეჟი“ (იუგოსლავია) — „ჰართსი“ (შოტლანდია) 2:1 (0:3)

„ტურუნ პალოსეურა“ (ფინეთი) — „ვიქტორია“ (რუმინეთი) 3:2 (0:1)

„იუვენტუსი“ (იტალია) — „ლიეჟი“ (ბელგია) 1:0 (1:0)

„რომა“ (იტალია) — „დინამო“ (დრეზდენი) 0:2 (0:2)

„ნაპოლი“ (იტალია) — „ბორდო“ (საფრანგეთი) 0:0 (1:0)

„ინტერი“ (იტალია) — „ბაიერნი“ (გფრ) 1:3 (2:0)

„კიოლნი“ (გფრ) — „რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) 2:2 (0:1)

„შტუტგარტი“ (გფრ) — „გრონინგენი“ (ჰოლანდია) 2:0 (3:1)

ფრჩხილებში აღნიშნულია პირველ შეხვედრათა შედეგები. უეფა-ს თასისთვის მეოთხედფინალში ბრძოლას განაგრძობენ „შტუტგარტი“, „ჰართსი“, „ვიქტორია“, „დინამო“ (დრეზდენი), „ბაიერნი“, „ნაპოლი“, „რეალი“, „იუვენტუსი“.

ევროპის საკლუბო ტურნირებში წლეულს დიდი წარმატებით გამოდიოდნენ იტალიის გუნდები, მაგრამ უეფა-ს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩებში [illegible] გები შეთხელდა. კერძოდ, არავინ მოელოდა, რომ „ინტერი“ მიუნხენში „ბაიერნთან“ პირველი მატჩის მოგების შემდეგ შინ დამარცხდებოდა, მაგრამ მოხდა სწორედ ასე, „ბაიერნმა“ მილანში ძალზე ძლიერად ითამაშა და გაიმარჯვა.

დამარცხდა, აგრეთვე, იტალიის „რომაც“, რომელმაც დრეზდენის „დინამოსთან“ ორივე მატჩი წააგო. იტალიელთაგან უეფა-ს თასზე ბრძოლას განაგრძობენ მხოლოდ „იუვენტუსი“ და „ნაპოლი“.

# სტუმრად თურქეთში

იმ დღეს, როცა ოფიციალურად გაიხსნა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საავტომობილო გზა, სასაზღვრო ზოლი პირველებმა ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელებმა გადაკვეთეს და თურქეთის ქალაქ რიზეში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს იქაურ „რიზე-სპორთან“ (მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 7:3). მას შემდეგ ბათუმელ ფეხბურთელებს თავიანთი ძნელი პრობლემები ჰქონდათ გადასაწყვეტი, საჭირო იყო პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნება. ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა, ბათუმის „დინამო“ კვლავ პირველ ლიგაშია, ამასობაში კი თურქეთიდან, ქალაქ რიზეს სპორტის მესვეურთაგან კვლავ მოვიდა მიწვევა ამხანაგური საერთაშორისო მატჩის გასამართავად და ისევ „რიზე-სპორთან“.

21 ნოემბერს ჩვენი გუნდი ხელმეორედ გაემგზავრა თურქეთს. დინამოელთა მშობლიურ ქალაქში დაბრუნებისთანავე „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი **ლევან ქავთარაძე** შეხვდა ბათუმელთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს, ქალაქის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს **გ. ბოლქვაძეს** და სთხოვა მკითხველებისათვის გაეზიარებინა თურქეთში მიღებული შთაბეჭდილებები:

— თურქეთის ქალაქ რიზეში ექვს დღეს დავყავით, — თქვა გ. ბოლქვაძემ. — ერთი მატჩი გავმართეთ ადგილობრივ „რიზე-სპორთან“. მასპინძელთა ძლიერ წინააღმდეგობას არ ველოდით, თამაშის პირველი ნახევარი თურქი ფეხბურთელების შესამჩნევი უპირატესობით წარიმართა და მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 1:0. დინამოელებმა მეორე ნახევარი მეტი მონდომებით და შემართებით დაიწყეს, მალე ბიგვავამ ანგარიშიც გაათანაბრა. შემდეგ დინამოელებს რამდენიმე ბურთის გატანა შეეძლოთ, მაგრამ შეტევის ბოლო ფაზაში ან უზუსტოდ ურტყამდნენ კარში, ან ადგილობრივი მსაჯის „უადგილო“ სასტვენი იხსნიდა ხოლმე მასპინძლებს. თამაშის მიწურულს მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა „დინამოს“ კარში, საბოლოოდ დავმარცხდით — 1:2.

რამდენიმე დღე მასპინძლების ყურადღების სფეროში ვიყავით. დაგვათვალიერებინეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, გვქონდა შეხვედრები იქაურ სპორტის მოყვარულებთან, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

თურქი ფეხბურთელები საპასუხო ვიზიტით ახალი წლის დღეებში გვეწვევიან და ერთ კვირას დაჰყოფენ ბათუმში.

# მიიწვევენ თუ არა სერგეი ბალტაჩას?

ამ დღეებში ცენტრალურ გაზეთებში გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ კიევის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების მცველი, 30 წლის ფეხბურთელი სერგეი ბალტაჩა მიიწვია ინგლისის ცნობილმა პროფესიულმა კლუბმა „იფსვიჩმა“, სადაც მას კონტრაქტით 6 თვის მანძილზე უნდა ეთამაშა.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს ინფორმაცია დაზუსტებული არ იყო. ს. ბალტაჩას კონტრაქტი ინგლისის „იფსვიჩთან“ ხელმოწერილი არაა, მოლაპარაკება ჯერ კიდევ გრძელდება. ს. ბალტაჩამ 6 თვის მანძილზე სტაჟირება უნდა გაიაროს ინგლისის კლუბში და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს „იფსვიჩის“ ხელმძღვანელობა დადოს თუ არა კონტრაქტი მასთან.

მოლაპარაკების შედეგები რამდენიმე დღეში იქნება ცნობილი.

ძიუდოში სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# „დიდი ძიუდო“ — თბილისში

(დასასრული)




საბჭოთა ნაკრების მორიგი წვრთნის მომენტები.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ებელი სამუშაო განახორციელა. ამ მუშაობაში ჩაბმული იყო რესპუბლიკის მრავალი უწყება, ორგანიზაცია და საწარმო.

ჩემპიონატის ყველა ატრიბუტი და სარეკლამო პროდუქცია დამზადებულია რესპუბლიკის ძალებით. მათ ამშვენებს ჩემპიონატის ორიგინალური ოფიციალური ემბლემა, რომლის ავტორია თბილისელი მხატვარი ვალიკო სიფრაშვილი. გასაფორმებელ მუშაობაში მას ეხმარებოდა ვაჟა ორბელაძე. სამკერდე და სამახსოვრო მედლები დამზადებულია საქართველოს სამხატვრო ფონდის კომბინატში. პლაკატები, ბუკლეტები, პროგრამები, დიპლომები და სიგელები, სააკრედიტაციო ბარათები, საქაღალდეები დაბეჭდილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის გამსახკომის გამომცემლობებში.

ჩემპიონატის დღეებში სპორტის სასახლეში ფართოდ გაიყიდება საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ დამზადებული ჩემპიონატის ემბლემიანი სხვადასხვა სუვენირი. ეს სიმბოლიკა დაამშვენებს აგრეთვე გამაგრილებელი სასმელების დიდი პარტიის ეტიკეტებსაც, რომელიც სპეციალურად ჩემპიონატისათვის გამოუშვა საქართველოს სახაგრომრეწვმა.

გათვალისწინებულია ჟურნალისტთა ყველა მოთხოვნილებაც. სპორტის სასახლეში მათთვის იქმნება მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობები შემოქმედებითი მუშაობისათვის, იმუშავებს 36 თარჯიმანი. როგორც ცნობილია, თბილისის სპორტის სასახლე დახურული იყო ექვსი თვის განმავლობაში. მთელი ამ დროის მანძილზე აქ მიმდინარეობდა რეკონსტრუქცია-რემონტის დიდი სამუშაოები. სპორტული ნაგებობა მთლიანად განახლდა და იგი უკვე მზად არის მიიღოს მომავალი ასპარეზობის მონაწილენი.

**⊙ როგორი იქნება ასპარეზობის რეგლამენტი?**

— სტუდენტი ვაჟებისათვის ეს იქნება რიგით მეათე ჩემპიონატი, გოგოები კი პირველად გაითამაშებენ პირველობას უნივერსიადის პროგრამით. როგორც ვაჟები, ისე გოგოები „გაინაწილებენ“ მედლების რვა-რვა კომპლექტს. 17 დეკემბერს, საღამოს, ორთაბრძოლების წინ შედგება ასპარეზობის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომლის სცენარი მოამზადა ჩემპიონატის მთავარმა მხატვარმა ტარიელ ჩიგოგიძემ. ჩემპიონატის საპატიო სტუმრები იქნებიან სტუდენტური სპორტის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელი და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელები.

პირველი ოთხი დღის განმავლობაში მოეწყობა შეჯიბრება ცალკეულ წონით კატეგორიებში, 21 დეკემბერს კი გათამაშდება გუნდური პირველობა. პირადი ტურნირის გამარჯვებულებს ოქროს ჯილდოების გარდა გადაეცემათ ქუთაისელი ოსტატების მიერ სპეციალურად ამ ასპარეზობისათვის დამზადებული მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ბროლის ვაზები. გუნდური ასპარეზობის ორ საუკეთესო კოლექტივს გადაეცემა სპეციალური პრიზები, რომლებიც ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს აჩუქა რესპუბლიკის პროფკავშირთა ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებასთან გახსნილმა სპორტულმა კოოპერატივმა „ავერსმა“. დაწესებულია აგრეთვე მთელი რიგი სპეციალური პრიზები, მათ შორის „მის ძიუდოს“ პრიზიც...

ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ხუთივე კონტინენტის 32 ქვეყნის წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირში გამართულ ოფიციალურ ასპარეზობაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას სამხრეთ კორეისა და ისრაელის მოჭიდავეებიც. ჩემპიონატს მოემსახურება თექვსმეტი ქვეყნის 56 არბიტრი. მსაჯთა კორპუსს უხელმძღვანელებს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ანზორ ქიბროწაშვილი.

**⊙ სპორტის მოყვარულებისათვის საინტერესო იქნება შეიტყონ, თუ რომელ ქართველ ძიუდოისტს ხვდა წილად თბილისის ტატამზე გამოსვლის პატივი?**

— ქვეყნის ვაჟთა ნაკრები გუნდი თბილისში ემზადება 30 ნოემბრიდან ჯრმის სპორტული კლუბის სპორტკომპლექსში. გუნდს ხელმძღვანელობს ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ნევზოროვი. სხვებთან ერთად მას ორი ჩვენი სპეციალისტიც ეხმარება — დილარ ხაბულიანი და ბორის გოგიჩაშვილი. ახლა ჩემპიონატისათვის 45 სპორტსმენი ემზადება, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის 9 წარმომადგენელი. ესენი არიან 1988 წლის ოლიმპიური ასპარეზობის ბრინჯაოს პრიზიორი ამირან ტოტიკაშვილი, ევროპისა და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი კობა კურტანიძე, ახალგაზრდა სპორტსმენები ენგურ გოგიჩაშვილი, ბადრი ბასილაშვილი და სხვები. გუნდის საბოლოო შემადგენლობა განისაზღვრება ჩემპიონატის დაწყების წინ. იმედი გვაქვს, რომ სულ ცოტა სამ ქართველ ძიუდოისტს შეიყვანენ განაცხადში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელები. რაც შეეხება ქალთა ნაკრებ გუნდს, რომელიც კრასნოიარსკში ემზადება, მასში ჯერჯერობით არ არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. მაგრამ ვფიქრობთ, რომ უახლოეს წლებში ჩვენს გოგოებს ვიხილავთ ქვეყნის ნაკრები გუნდის ალმის ქვეშ. ქალთა ძიუდო ხომ სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს რესპუბლიკაში.

**ზ. შალოლაშვილი,**
**საქინფორმის კორ.**

# დინამოელები და სხვები

**დედაქალაქის** მოჭადრაკე ვაჟთა მე-60 ჩემპიონატზე გაიმართა III და IV ტურის შეხვედრები. **III ტური:** ნეჩაევი-ხაჩიძე — 1:0, ცქიტიშვილი-პაქსაშვილი — 0:1, ხანთაძე-მოვსესიანი — 1:0, დაბრუნდაშვილი-ლობჟანიძე — 0:1, სხილაძე-თანდაშვილი — 0,5:0,5. გაიდო გოგიჩაიშვილ-მესტვირიშვილის, ვაშაკიძე-მიქაელიანისა და ჩიქოვან-სიგუას პარტიები. **IV ტური:** პაქსაშვილი-გოგიჩაიშვილი — 0:1, მესტვირიშვილი-ხანთაძე — 1:0, მოვსესიანი-ვაშაკიძე — 1:0, მიქაელიანი-დაბრუნდაშვილი — 0:1, ნეჩაევი-ცქიტიშვილი — 0,5:0,5. გადადებულია ხაჩიძე-სიგუას, თანდაშვილ-ჩიქოვანისა და ლობჟანიძე-სხილაძის პარტიები.

4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: დავით პაქსაშვილი — 3, გივი გოგიჩაიშვილი — 2,5 (1).

**1971 წელს** და უფრო გვიან დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაზე კი მოეწყო V ტურის შეხვედრები.

გოგონები: მოდებაძე-ფაჩულია — 0:1, გრიგალაშვილი-ნიკოლაძე — 0:1, ლომინეიშვილი-კემულარია — 0:1, როჭიკაშვილი-ეძგვერაძე — 0,5:0,5. გადაიდო ხურცილავა-ღლონტის პარტია. სახოკია-ლებანიძის შეხვედრა გადატანილია.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: სოფიკო ნიკოლაძე — 4,5, მარინე ლებანიძე — 4 (1).

**ჭაბუკები:** პოპოვი-გოგოლაძე — 1:0, კვარაცხელია-ხაბურზანია — 1:0, უთმელიძე-მასხარაშვილი — 0,5:0,5, ტიკურიშვილი-ყაშაშვილი — 0,5:0,5, ჯანგობეგოვი-კეკელიძე — 0,5:0,5.

აქ 5 ტურის შემდეგ 4,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს იანის პოპოვი. მას ერთი ქულით ჩამორჩება დავით ტიკურიშვილი.

**სპორტსაზოგადოება** „დინამოს" რესპუბლიკურ პირველობაზე 5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ლეონიდ სპექტორი, მუშელ მოვსესიანი — 4,5-4,5, სერგო კარტაშიანი, ნიკოლოზ ლობჟანიძე, არჩილ წერეთელი — 4-4.

**ვასილ ვაშალომიძე.**

## ლევან თავაძე



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლევან (ლიდორ) ბათლომეს-ძე თავაძე. დაიბადა 1929 წელს. 1952 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მშობლიურ ფოთში სათავეში ჩაუდგა სახალხო განათლების ბავშვთა სპორტსკოლის სასწავლო ნაწილს და პარალელურად ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ კრივის სექციას. ლ. თავაძის ხელმძღვანელობით ზღვისპირა ქალაქში აღიზარდა არაერთი კარგი სპორტსმენი, რომლებიც წარმატებით იცავდნენ და იცავენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო რინგზე. მათ შორის მრავლად არიან სსრ კავშირის მოსწავლეთა ჩემპიონატების გამარჯვებულები და რესპუბლიკის ჩემპიონები.

ლ. თავაძის აღზრდილებმა განსაკუთრებით ბოლო წლებში გამოიჩინეს თავი — ისინი შედიან რესპუბლიკის, განსაკუთრებით ჭაბუკთა ნაკრებ გუნდში. მისი მოწაფეები არიან დ. ვერულაშვილი, გ. ბახტაძე, ვ. შონია, ვ. ვახანია და სხვები, რომლებიც ნიჭიერ, იმედისმომცემ მოკრივეებად ითვლებიან.

ლ. თავაძე აქტიურად მოღვაწეობდა კრივის რესპუბლიკურ ფედერაციაში, რომლის პრეზიდიუმის უცვლელი წევრი იყო.

გულისხმიერი აღმზრდელისა და კარგი სპეციალისტის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მოწაფეთა და მეგობართა შორის.

**კრივის რესპუბლიკური ფედერაცია.**
**ქ. ფოთის სპორტკომიტეტი.**

## ევროპის თასები კალათბურთში

# დამარცხება შინ

გაიმართა ევროპის კალათბურთელთა საკლუბო ტურნირების მორიგი მატჩები.

**კორაჩის თასი. I ჯგუფი:** „პარტიზანი" (ბელგრადი) — „დივარეზე" (იტალია) 75:71, „ასიბელი" (ბელგია) — „ესტუდიანტესი" (მადრიდი) 80:79.

**II ჯგუფი.** „ჰაპოელი" (ისრაელი) — „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) 101:86, „ზადარი" (იუგოსლავია) — „ხუვენტუდი" (ესპანეთი) 102:86.

**IV ჯგუფი:** „ვისმარი" (იტალია) — „ორტეზი" (საფრანგეთი) 100:84.

კიევის „სტროიტელი" მეოთხედფინალურ მატჩში ჰოლანდიის „დირექტბანკს" მასპინძლობდა. საბჭოთა კალათბურთელებმა კარგად ჩაატარეს ეს ორთაბრძოლა და გაიმარჯვეს — 89:65 (50:41).

**ევროპის ჩემპიონთა თასი.** რვა უძლიერესი გუნდი ამ ეტაპზე ნახევარფინალების საგზურისთვის იბრძვის. მეტოქეებს ჩასატარებელი ექნებათ 14-14 შეხვედრა. სპეციალისტების ვარაუდით შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე გავა გუნდი, რომელიც სულ ცოტა შვიდ შეხვედრას მაინც მოიგებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შინ კალათბურთელებმა უსათუოდ უნდა გაიმარჯვონ.

მოსკოვის არმიელებმა პირველ მატჩში ეს ამოცანა ვერ გადაჭრეს. იტალიის „სკავოლინისთან" დამარცხდნენ თავის მოედანზე ანგარიშით 63:71 (28:34). მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გობოროვი იყო, რომელმაც თავის კოლექტივს 18 ქულა შესძინა. ასეთივე შედეგი ჰქონდა სტუმრების გუნდის საუკეთესო თავდამსხმელს მანიფიკოს.

განმეორებითი შეხვედრა გაიმართება 2 თებერვალს იტალიაში.

გთავაზობთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: „მაკაბი" (ისრაელი) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 82:83, „არისი" (საბერძნეთი) — „ნაშუა დენ ბოში" (ჰოლანდია) 116:83, „იუგოპლასტიკა" (იუგოსლავია) — „ლიმოჟი" (საფრანგეთი) 87:78.

## სიახლენი ოლიმპიადის პროგრამაში

**ვენა.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შევა ბადმინტონი, ბეისბოლი და ქალთა ძიუდო. ალბერვილის ზამთრის ოლიმპიადაზე კი სპორტსმენები პირველად მოსინჯავენ ძალებს ქალთა ბიატლონში, ფრისტაილსა და შორტ-ტრეკში.

ფრისტაილი თამაშებში ჯერჯერობით წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ერთი სახეობით — მოგულით. შორტ-ტრეკზე კი სპორტსმენები გაითამაშებენ ოთხ ოქროს მედალს (ორს — ვაჟები და ორს — ქალები). ჯერ არ არის საბოლოოდ დადგენილი წონითი კატეგორიები ქალთა ძიუდოში.

# ფედერაციის თასზე

**მელბურნი.** გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი — ფედერაციის თასის გათამაშება. მერვედფინალში ავსტრიის ნაკრებთან გამარჯვების (2:1) შემდეგ საბჭოთა სპორტსმენების მეტოქე ესპანელი ჩოგბურთელები იყვნენ.

შეჯიბრებას, როგორც წესი, მეორე ნომრები იწყებენ. ლარისა სავჩენკომ დაამარცხა კონჩიტა მარტინესი 7:6 (7:4), 6:2, აი, ნატალია ზვერევამ კი მოულოდნელი მარცხი იწვნია 16 წლის არანტსე სანჩესთან — 6:7 (3:7), 1:6.

მატჩის ბედი უნდა გადაეწყვიტა წყვილთა შეხვედრას, მაგრამ ეს ორთაბრძოლა შეწყდა წვიმის გამო. პირველი ხელი ესპანელებმა მოიგეს 6:4, მეორეში კი შეხვედრა გადაიდო ანგარიშზე — 1:1.

მეორე მეოთხედფინალურ მატჩში თასის წლევანდელმა მფლობელმა გფრ-ის ნაკრებმა დაამარცხა ავსტრალიის გუნდი — 2:1.

### ელვა-ინფორმაცია

**მელბურნი.** წყვილთა წინა დღეს შეწყვეტილი მატჩი გუშინ განახლდა. საბოლოო გამარჯვება სავჩენკო-ზვერევას დუეტმა მოიპოვა 4:6, 6:4, 6:4. ნახევარფინალში საბჭოთა ჩოგბურთელების მეტოქე იქნება გფრ-ის გუნდი. მეორე ნახევარფინალში დაწყვილდნენ ჩეხოსლოვაკიისა და კანადის ჩოგბურთელები.

# გრაფი და ვილანდერი

**ლონდონი.** ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი და შვედი მატს ვილანდერი 1988 წლის „მსოფლიო ჩემპიონებად" გამოაცხადა.

19 წლის გრაფმა წლეულს თანამედროვე ჩოგბურთის მთავარი ჯილდო — „დიდი მუზარადი" მოიგო. ეს პრიზი მან დაიმსახურა ავსტრალიის, საფრანგეთის, აშშ-ს ღია ჩემპიონატებში, უიმბლდონის ტურნირსა და ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებისთვის. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი, დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა წლეულს ათ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ სამი ხელი წააგო — ორი გაბრიელა საბატინისთან (არგენტინა) და ერთი — პემ შრაივერთან (აშშ).

24 წლის შვედმა მატს ვილანდერმა გრაფის მსგავსად სამ შეჯიბრებაში — ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ს ღია პირველობებში გაიმარჯვა. ამას გარდა, ვილანდერის ხელშეწყობით შვეციის ნაკრები ზედიზედ მეექვსედ გავიდა დევისის თასის ფინალში.

# ჯონ მაკინროუს ინტერვიუ

**ეს** ორი სახელი ფართოდაა ცნობილი საჩოგბურთო სამყაროში. ამერიკელი მაკინროუ 29 წლისაა, შვედი ვილანდერი კი 24-ის. მათ ურთიერთობა თავიდან არ ჰქონიათ. დღეს კი ორივე სპორტსმენი დიდი მეგობრები არიან, ერთად უკრავენ გიტარაზე, მათი მეუღლეებიც მეგობრობენ.

— პარიზში ერთ-ერთი ტურნირის დროს დამებადა იდეა ინტერვიუ ჩამომერთვა მაკინროუსათვის. ეს ინტერვიუ ჩემი ჟურნალისტური მოკლე კარიერის მანძილზე პირველია და შესაძლოა უკანასკნელიც, — განაცხადა მატს ვილანდერმა, როდესაც ამზადებდა მასალას დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შპორტ ბილდისათვის".

ვილანდერი: პარიზში გამართულ ტურნირზე შედგა შენი „მეორე დაბადება". კორტზე გამოსვლას ვგულისხმობ... უკეთესად იყავი მომზადებული?

მაკინროუ: შესვენების შემდეგ კორტზე გამოჩენა ერთობ ძნელი ყოფილა. ვცდილობდი უკეთესად მეთამაშა, ვიდრე ოდესმე. ვფიქრობ, რომ აღარ აქვს მნიშვნელობა — ვიყო პირველი, ეს უფრო ოცნების ჰგავს.

ვილანდერი: გჯერა კი საერთოდ, რომ შეძლებ ძველი სიძლიერის დაბრუნებას?

მაკინროუ: თუკი საერთოდ შევძელი, ეს ასე უცებ არ მოხდება.

ვილანდერი: დავუშვათ გაგიმართლა და დაიბრუნე უწინდელი ფორმა... მაგრამ გამორიცხული არაა დამარცხდე შედარებით სუსტ მოწინააღმდეგესთან. არის თუ არა ეს გარემოება მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელისათვის მორალური დარტყმა?

მაკინროუ: იყო პირველი ჩოგანი—სხვაგვარი შეგრძნებაა. ყოველთვის გაქვს ის, რასაც შეიძლება დაეყრდნო.

ვილანდერი: შენი თამაშით ვინმეს რამეს ხომ არ უმტკიცებდი?

მაკინროუ: მართლაც ასე იყო. ადრე პრესისათვის და მაყურებლისათვის ჩემი სტილის დამტკიცება მინდოდა. დღეს კი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავუმტკიცო...

ვილანდერი: დღეს, როგორ ვარჯიშობ. ისევე დიდხანს ხარ კორტზე?

მაკინროუ: ერთ დასკვნამდე მივედი. მხოლოდ ინტენსიური ვარჯიში არის წარმატების გარანტია. ერთი დღეც რომ გამოვტოვო, თავს დამნაშავედ ვთვლი. მარტო წარმატება არ არის აუცილებელი. მირჩევნია კარგი, საინტერესო თამაშის შედეგად დავმარცხდე, ვიდრე ცუდად ვითამაშო და გავიმარჯვო. კარიერის დასაწყისში, არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორ ვითამაშებდი. მთავარი იყო გამარჯვება.

ვილანდერი: განეკუთვნები იმ მცირერიცხოვან სპორტსმენთა რიგს, რომელიც მოწმე იყო ჩოგბურთში მთელი რიგი ცვლილებებისა, ვგულისხმობ სტილს; ბორგისა და ლენდლის წინააღმდეგ იმ დროს თამაშობდი, როდესაც ისინი საუკეთესო ფორმაში იყვნენ. რაშია განსხვავება?

მაკინროუ: ახალგაზრდა ჩოგბურთელები დღეს უფრო სწრაფად იკავებენ წამყვან პოზიციებს, ლევანდელი ჩოგბურთი უფრო ძალისმიერი გახდა. ბეკერმა თავისი დარტყმის სიძლიერის წყალობით ორჯერ შეძლო უიმბლდონის ტურნირში გამარჯვება. გარკვეული წვლილი წარმატებაში თანამედროვე, სრულყოფილ ჩოგნებსაც შეაქვთ. ამას ემატება სპორტსმენის თავდაუზოგავი ვარჯიშიც.

ვილანდერი: შეიძლება ითქვას, რომ საკვალიფიკაციო ცხრილში შედარებით სუსტ სპორტსმენს თავისი ინტენსიური ვარჯიშით შეუძლია მიუახლოვდეს უძლიერესთა რიგებს? გაიზარდა თუ არა შესაძლებლობა, რომ დიდმა მოთამაშეებმა მარცხი განიცადონ?

მაკინროუ: თუკი „სუსტ" სპორტსმენებს გაუღიმა ბედმა, ისინი წარმატებას მიაღწევენ. ათი წლის წინათ ეს წარმოუდგენელი იყო. ლევანდელობას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. მაყურებლის ემოციებს იწვევს სუსტ მოწინააღმდეგესთან მარცხი. ამის გამო ინტერესი სპორტის ამ სახეობისადმი რადიკალურად ეცემა.

ვილანდერი: რა შეიძლება დაუპირისპირდეს ამ ფაქტს?

მაკინროუ: პირადად მე მომხრე ვარ შედარებით მოკლე, ინტენსიური საჩოგბურთო სეზონისა. მაშინ მოწინავე სპორტსმენებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ იყვნენ საუკეთესო ფორმაში და შემთხვევითი მარცხიც ნაკლებადაა მოსალოდნელი. ჩვენ ბევრ პატარა და უმნიშვნელო ტურნირებზე გამოვდივართ. უმნიშვნელო პიროვნებებს დიდი ძალაუფლება აქვთ ხელში აღებული. ხალხი, რომელსაც არასოდეს არაფერი საერთო არ ჰქონია ჩოგბურთთან, უეცრად გადამწყვეტ როლს ასრულებს. ტელევიზიასაც დიდი გავლენა აქვს.

ვილანდერი: რითი აიხსნება სპორტსმენთა ხშირი ტრავმები, რის გამოც ისინი დიდხანს არ მონაწილეობენ ტურნირებში?

მაკინროუ: სეზონი 8-9 თვეზე მეტს ხანს არ უნდა გრძელდებოდეს. დღეს ხშირად გვიწევს სხვადასხვასაფარიან კორტზე გამოსვლა — აქედან ტრავმები ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძნელი დასაძლევია. ჩვენი საჩოგბურთო სეზონი პროფესიონალ ავტომრბოლთა ტურნირს უნდა ჰგავდეს. მრავალი უცნობი სახელი არ აინტერესებს მაყურებელს. ისინი მხოლოდ საუკეთესოების ხილვის გამო მოდიან სტადიონზე.

ვილანდერი: ოლიმპიადა და ჩოგბურთი, არის თუ არა ეს ერთი და იგივე ცნება?

მაკინროუ: თავიდან არასწორად ვფიქრობდი. ამჟამად მკვეთრად შევიცვალე დამოკიდებულება. ჩოგბურთის საერთო განვითარებისათვის სპორტის ეს სახეობა უნდა იყოს ოლიმპიურ თამაშებზე. ოლიმპიადის მეშვეობით მრავალი ადამიანი დაუკავშირდება ჩვენს სახეობას.

ვილანდერი: ერთი გარემოება მაფიქრებს: თუკი პროფესიონალი ჩოგბურთელებისათვის ოლიმპიადა ისეთივე მნიშვნელოვანი გახდება, როგორც მძლეოსნებისათვის, ხომ არ დაიკარგება უიმბლდონის ტურნირის მნიშვნელობა?

მაკინროუ: ოლიმპიური თამაშები „დიდი მუზარადის" ტურნირის პრესტიჟს ვერ შელახავს. ისიც არასწორი იქნებოდა, რომ ჩვენ მთელი ოთხი წელი ველოდოთ ოლიმპიადის ტურნირს.

**მოამზადა მალხაზ რადიანმა.**

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, 49-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 1.622.571 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (27 ვარიანტი) მოგება 1906 მანეთია, ოთხისთვის (2661) — 27, სამისთვის (40022) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 17.048214 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (9 ვარიანტი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (2 356) — 353, სამისთვის (108 920) — 15.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

## სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

**ლატარია** „სპორტლოტოს" 1988 წლის ბოლო, 52-ე ტირაჟში გათამაშდება სარეზერვო მოსაგები ფონდი 150 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის 50 ათასი ლატარიაში „6 45"-დან, 100 ათასი—ლატარიაში „5 36"-დან.

50 ათასი მანეთით გაიზრდება აგრეთვე ლატარია „სპორტპროგნოზის" მოსაგები ფონდიც.

ამრიგად, სამივე ლატარიის მოსაგები ფონდი 52-ე ტირაჟებში გაიზრდება 200 ათასი მანეთით.

ყველა მსურველს ვიწვევთ „სპორტლოტოსა" და „სპორტპროგნოზის" წინასაახალწლო, 52-ე ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად.

გისურვებთ წარმატებას

**საქსპორტლოტო.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05637